ლექციების კურსი:

**თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკა**

ამა წლის 6-10 ოქტომბერს, „კავკასიური სახლის“ ორგანიზებით ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, 107-ე აუდიტორიაში გაიმართება ხუთდღიანი სალექციო კურსი რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ლექციებს წაიკითხავს რუსეთში მოღვაწე პროფესორი გიორგი კუნაძე. ლექციები დაიწყება 16:00 საათზე. სამუშაო ენა რუსული და ინგლისური. დასწრება თავისუფალია!

ლექციების განრიგი და თემატიკა:

I დღე: სსრკ-ის მემკვიდრეობა და რუსეთის იდენტობის კრიზისი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

II დღე: რუსეთის საგარეო პოლიტიკის შიდა და გარე დეტერმინანტები

III დღე: რუსეთის პოლიტიკა მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში 1. ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონი; 2. შორეული აღმოსავლეთი: ჩინეთი, იაპონია

IV დღე: რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში: ელცინისა და პუტინის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი

V დღე: ახალი რეალობები რუსულ-დასავლურ ურთიერთობებში უკრაინის მოვლენების ფონზე

ლექციების შემდეგ გაიმართება დისკუსია.

**სალექციო კურსის დამთავრებისას, მონაწილეთათვის, რომლებიც ხუთიდან მინიმუმ ოთხ ლექციას დაესწრნენ, გაიცემა სერთიფიკატი.**

ლექციებზე დასწრების მსურველებმა, გთხოვთ დაგვიდასტუროთ შემდეგ ელ. მისამართზე: mariam.gachechiladze@caucasianhouse.ge

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კავკასიური სახლის პროექტების ოფიცერს მარიამ გაჩეჩილაძეს. ტელ: 597 936 543; ელ-ფოსტა: mariam.gachechiladze@caucasianhouse.ge

Foreign & Commonwealth Office

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

დოქტორი გიორგი კუნაძე არის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი საერთაშორისო ურთიერთობების დარგში. ის მუშაობდა საგარეო პოლიტიკისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი აზიის უსაფრთხოების საკითხებზე, საერთაშორისო ტერორიზმსა და მსოფლიო წესრიგის განვითარებაზე, რუსეთის ახალი იდენტობასა და სხვა მრავალ აქტუალურ თემაზე. 2009 წლამდე ის ასევე იყო საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, სადაც ხელმძღვანელობდა კურსებს „პრაქტიკულ დიპლომატიაში“, „საერთაშორისო კონფლიქტებსა“ და „ალტერნატიულ ისტორიაში“.

რუსეთის პირველი პრეზიდენტის ადმინისტრაციის პერიოდში, პროფესორი კუნაძე იკავებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტს. როგორც დიპლომატი, იგი წარგზავნილი გახლდათ იაპონიაში, ატაშედ სოციალურ-მეცნიერებათა დარგში, აგრეთვე სამხრეთ კორეაში, რუსეთის სრულუფლებიანი ელჩის რანგში. პროფესორი კუნაძე ფლობს ინგლისურ და იაპონურ ენებს.

ლექციების კურსი ტარდება პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.